

L-94.



МЫ СДЕЛАЛИ ЭТО



N

11

У С О В Е Т С К И Е



1928
ოქტომბერი

საქართველოს მ. კ. თ. ცენტ. ბიუროს და გან. სას. ჯიშნაძის. შთ. აღმ. შთაჯარმართველობის ქვინალი მცხოვრებთან მანათაძის

წელიწადი I
№ 11

ზ ი ნ ა ა რ ს ი .

- | | |
|---|----|
| 1. დედა და შვილი, — ლექსი ვ. სამსონიძის | 2 |
| 2. წიგნილი საბავშვო სახლიდან, — ნინოსი | 3 |
| 3. ჩვენ შემოდგომა ვერ შეგვაშინებს, — ლექსი შარიჯანის | 9 |
| 4. ქეთიერს ცუბა, — სეზმან ერთაშვინდელის | 10 |
| 5. მზადება ბავშვთა სამართო ბინაში, — ლექსი გ. შალვაშვილის | 15 |
| 6. წიხვილი აბრუნდა, — დ. ციციშვილის | 16 |
| 7. სამოადი ბავში ტენიკო, — აღ. გორგაძის | 22 |
| 8. ჩვენი ბავში: როგორ ჩავატარეთ ოქტ. რევ. 11 წლის თავი ტფილისში, — ლევ ტოლსტოი, — ცეპელინი № 127, — ვერმანელი მონა, — მზის დაბნელება, — როგორ შევხვდით რქტომბერს, — როგორ ჩავატარეთ ოქტომბრის დღესასწაული, — მე-32 შრომის სკოლა | 26 |
| 9. თავისი ხელით გააკეთა, — გარეკანზე. | |

1 9 2 9 წ.

„ოქტომბერი“ გამოვა მხოლოდ ხელისმომწერთათვის.
დააჩქარეთ ხელის მოწერა!

2-94.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
ტფილისი
საქართველოს ბიბლიოთეკა




ლენინი ბავშვობისას

538

დედა და შვილი.



— დედა, უკვე შემოძლია
 მე ათამდე დათულა, მაგრამ
 მანც ვერ ვიანგარიძე
 ის, რაც გუშინ მითხრა მამამ.
 — მანც რა სთქვა ისეთი, რომ
 ვერ დათვალე, ვერ გაიგე?
 — მითხრა: „კიდევ რამდენი დღე
 დარჩა დიად ოქტომბრამდე?“
 — აჰ, ეს გინდა გამოიცნო!
 გიტყვი: კიდევ ოცი დღეა,
 მაგრამ, მითხარ, შენ მანც ეს
 ვერე რატომ გინარია?
 — როგორ თუ რათ?! იმ დღეს ვეველა
 ჩვენ ბავშები დროდით, დოლით
 დარასმულნი წამოვალთ და
 ჩამოვივლით ქუჩებს ქროლვით.
 საღამოს მიუცემთ დიდ ოქტომბერს
 (ოქტომბრელნი მამ ტყვილა ვართ?)
 ის, რაც უგვარს მამას, მშრომელთ,—
 ჩვენც სომ მუდამ იგი გვიგვარს!..
 — ასე, ასე, ჩემო სოსო,
 დაგენაცულოს დედაშენი!
 ესლა ვსედავ, არ შეგვარცხვენ
 და იქნები ღვინელი!..



წერილი საბავშო სახლიდან.

ქობულეთში უკვე შემოდ-
გომაა. ხეებზე ფოთლები გა-
ვეითლდა, სიმიინდი მოტყეს, ჩა-
ლა აიღეს და ვსედავთ. როგორ
მიფრინავენ ფრინველები თბილი
ქვევებისკენ. ქალაქში, შინისაკენ
ჩვენმა წასულის დრომაც მოა-
წია.

ჯერ არ გვინდოდა წასვლა,
მაგრამ წვიმები დაიწყო, ტალახი
ადგა და მოკვებურდა სახლში
ჯდომა და მოღრუბლული ცის
ცქერა, სდვანთანაც ასლოს არ
შეიძლება მისვლა: დელაგს და
უვირის.

შაბათს დილით შეუუდქით
ჩვენი ბარგი-ბარახანის შეკო-
ვებს და ჩალაგებს. შეკვარით





ჩვენი სათამაშოები და უცნობ ვსე-
დგეთ—სეუზ! ვილაც კადმოხტა
ფანჯარაში. თმაკაბურმკენილი,
'სანკეით სასეკემურული ძავე
ბიჭი. შკეკემინდა კიდევც. მა-
რამ ბიჭი ჩვენი მეხობელი სუ-
რიან აღმოხნდა, შქედელი რე-
ჯიბის შვილი, რომელთაც ჩვენ
სიძინდის ტყხში და რჩევაშიც
კი ვესმარებოდით.



— სად იუბავი, ბიჭო სურიან,
როგორ კათისუნსულხარ?



— სად? სამჭედლოში, მა-
მას ვესმარებოდი, ქვებისათვის
ჯაბჭეს სჭედებდა და მე საბერველს ვუბერავ-
დი. ეს რა ამბავია, თქვენ სადღა ანდრებთ?

— შინ, ტყვილისში.

— სულ მიდისხართ?

— მამ. სედავ, ვალაგებთ. ხვალ ავტო-
მობილი მოვა და სადგურსე წავკვიფანს.

— ტყვილად მიდისხართ. დარჩენი-
ლიუბავით, აქ კაცსოვრათ, ჯერ კიდევ
კარკი დარები იქნება!— გკითხნა სურიან
და ჩვენთან ერთად იძინაც დაიწყო ნიეთუ-
ბის ჩაღვება.





საღამოს, როდესაც ცოტათი ვა-
დაიღო, სურიასთან ერთად სოფელ-
ში წავედით, რომ უკანასკნელად
დაგვეთვადლიერებინა წისქვილი და
გვეჩაზა, როგორ ფქვავედენ ასე
სიძინდს.

მეორე დღეს დილით ადრე მო-
ვიდა ავტომობილი, მატარები ვეე-
ლანი ჩაესხით შიგ და ჩვენ, უფრო-
სები, ქვეითად წავედით სადგურის-
კენ. გული გვწუდებოდა, რომ ვტო-
ვებდით ჩვენ საუვარელ ქობულეთს.
დილა მზიანი გათენდა. ზღვა აქა-
ფებული იყო, მაგრამ, ეტეობოდა,
თანდათან წუნარდებოდა. დრო აღარ
გვქანდა, რომ კიდევ ერთხელ გვე-
რბინა მის ნაპირებზე და აგვეკრიფა
ღამაში კენჭები. დაიძრა თუ არა
ავტომობილი, ჩვენც გაუფეით უკან.



მთელი ბავშობა გამოვიდა ავტომობილის სმაზე, ხურია მოსდევდა უკან და ფეხს უქნევდა ბავშვებს.

— მშვიდობით, მშვიდობით, ხურია, — ეძინდენ ბავშვები.

ჩვენ გავიარეთ სოფელი და შევედით ბაზარში. ვაჭრობა უველგან განხლებული იყო. უველგან ფერს ვათვალთვლებდით, გვინდოდა დაგვესოძებია. უცებ გავივინეთ ოსმანას სმა.

— ოჰ, ოსმანა მოდის, ოსმანა! — დაიუვირეს ბავშვებმა. მართლაც, გამოჩნდა ოსმანა. მას შემდეგ, რაც ხალხი წავიდ-წამოვიდა აგარაკიდან, მის ვირს იქით-აქეთ სავსე კალათები აქვს გადაკიდებული.

— ჰაი, ოსმან, — დაიუვირა ლიხიკომ და გაქანდა მისკენ, მაგრამ უცებ ქვას წამოჭრა ფეხი და შიგ შუა ქუჩაში გაიმხლართა თავისი თეთრი კაბით. ზატარა ჩემოდანი გაეხსნა და სულ დაფანტა, რაც შიგ შეკრთვილი ღამბასი კენჭები ჰქონდა.

უველანი მივცვივდით, მივეშველეთ, ავავენეთ, კენჭები შევკრთვეთ და გავხსნიეთ. ოსმანა უკვე წასულიყო.

— ოჰ, რა მეწინა, რომ ვერ დავეშვიდობეთ ოსმანას, — ამბობდა შეწუხებული ლიხიკო.





ჩვენ ეველას გვეწვინა: ოსმანა
 სომ ჩვენი ძეგობარი იყო. რამდენს
 კვათამაშებდა!

სადგურზე ბურბულები ხალხი
 ირეოდა. ბათომიდან უკვე მოსულ-
 იყო მატარებელი და ფანჯრებიდან
 იუერებოდენ. ვინ არ იყო აქ: რუ-
 სები, თათრები, ბერძნები, სომხები,
 წითელფეხიანი თურქები. ზოგი
 ურძენს სჭამდა, ზოგი ლედვს, ეი-
 დულობდენ თხილს, ბამბუკის ჭიქებს,
 ჯახებს. ჩვენ ჩვენთვის საკანკებოდ
 მიბძულ ვაკონში შეკვიყვანეს.

ღაირეკა პირველი ხარი, მეორე.
 საცაა უნდა დავიძრათ, რომ ამ დროს
 ვაისმა ბავშების ევირილი:

— ოსმანა, ოსმანა მოვიდა!..

— მშვიდობით, ოსმან!..

ეველანი ფანჯრებს მიუცვივდით.
 ოსმანა სულ ახლოს მოვიდა
 ვაკონთან და გვემშვიდობებოდა ხე-
 ლების ქნევით.

— მშვიდობით.

— მშვიდობით, ოსმან! — გა-
 ჭქონდათ ბავშებს ყვილ-ხივილი.





— მშვიდობით, მშვიდობით, მატარებო, კიდევ ჩამოდით საფხულზე, კიდევ გასეირნებთ... კიდევ მოვიტანთ სიღს...


— წერილს მოგწერთ, ოსმან, ისმოდა სმა.

მატარებელი დაიძრა. ჩვენ კიდევ დიდხანს უხედავდით, როგორ გვიქნედა ხელს ოსმანა და როგორ იწეოდა მისი წითელი ფეხის დიდი და შავი ფაოი.

ამაღამ გვიან ღამე ტფილისში ვიქნებით, ახლა კი ვსივართ ვაკონში ფანჯარასთან და ვწერთ „ოქტომბრელინათვის“ ამ წერილს, რომ სხვა საბავშვო სახლის ბავშვებზე წაიკითხოთ და თავისი ამბავიც დაბეჭდონ „ოქტომბრელში“.



ნინო.





ჩვენ შემოდგომა ვერ შეგვაშინებს.

მზე დაგვეძალა, აღარ ციალებს;
ქარი ზუსუნებს, უსტვენს, ღრიალებს,
გვიგზავნის წვიმას და ნისლს ჟინიანს,
მაგრამ ჩვენ მაინც არ გვეშინია!

თავს შევაფარებთ საბავშვო სასლებს,
ჩვენ შემოდგომა ვერას დაგვაკლებს,
კვაქვს სამუშაო და გასართობი,
უსვად საკვები, ბლომად სათბობი!

ამხანაგებო! რა გვინდა გარეო?
აქ ოთახებშიც სომ გავიხარებთ!
სმზურობს ქარი, ემსხვრევა შინებს,
მაგრამ ჩვენ მაინც ვერ შეგვაშინებს.

მარიჯან.

ქეთინოს



სუბა

ა

ზატანა ქეთინო ვეკლას უეუარდა ოჯახში, მაგრამ ცუგას უფრო ძალიან.

ის იყო ზაწია ლეკვი ურბა, რომელიც მია ვალიკომ იზოვა ქუხაში და მოჰკვარა ქეთინოს...

— აი, ქეთინო, ეს შენ... მოუარე კარგად, კიუვარდეს და აღზარდე... ბოლოს შენი კარგი მეგობარი შეიქნება...— უთხრა მან, რომელსაც ძალზე უეუარდა ცქრილა გოგონა ქეთინო, მიუბღერსა, მუსღებზე დაისვა და მისცა ლეკვი...

— უუ, ცუგა?— წაშოიძახა ბავშმა და გულზე მიიკრა.

— აი ესეც ირისი, ეს კიდევ წიგნი: „ოქტომბრის დიდი რევოლუცია“. შენ ხომ ოქტომბრელი იქნები და შერე ზიონები და ასე... ისწავლი, წაიკითხავ...

— მია ვალიკო, ამას რა ჰქვია?

— რა? ჰმ!.. რა და... მოდი და ცუგა იუოს... შენ ხომ ასე დაუძახე წედან?

— ჰო... ცუგა...

ასე დაერქვა მაშინ სახელი ამ ფინიას.

ქეთინო და ცუგა თითქმის სულ ერთად იუვნენ; ბავში მას კეერდზე მოისვამდა სოღმე, მაგიდას რომ შემოუჯდებოდა, და თავის ახლოს ატყედა.

თბილ წვალში აბანებდა, სუფთად ინახავდა...

დედამ რომ ლამაზ თმაში წითელი ლენტო ჩაუწნა, მოისწნა და ცუგას შეაბა კისერზე...

ეთამაშებოდა, დარბოდა, ლეკვიც დანდევდა წებურით, უეფით კუდს იჩნევდა, თათებს შეაწუბოდა გოგონას მუხლებზე, ფუნხულა ხელს აულოკავდა ენით და ჭკვიან თვალებს შეანათებდა...

ფისო, რომელიც ცუვამდე ჰქაჯდა ქეთინოს, მურით იფსებოდა თავის მეტოქე ფინიასზე, და ცუვაც თითქოს გრძნობდა ამას და, რა ფისო მიუახლოვდებოდა ქეთინოს, ცუვა ეძეკრებოდა ხოლმე, მაგრამ კაცა აიფსორებოდა და გაჭკრავდა კლანჩს...

მარტო დარჩებოდა, თუ ან დედიკო, მამა, ან მია ვალიკო სადმე წაიუვანდენ ქეთინოს, უცუგოდ ფესს არ გადაადგამდა ის...

ბ

ასე გადიოდა დრო...

წამოიზარდა ქეთინო, გაიზარდა ცუვაც...

როცა ქეთინო საბავშო ბაღში მიაბარეს, სადაც ის ეველასზე კარგი მოწაფე დადგა, ცუვა მარტო რჩებოდა ხოლმე და დარდობდა.

ქეთინოს, თუმცა მას საბავშო ბაღში კარგად ექცეოდნენ, ტოლამხანაგებში ერთობოდა, ახწავლიდნენ წერას, კითხვას, სიმღერას, მწუბორად სიარულს, ფერადი ქაღალდებიდან სახლების გამოჭრას, დროშების კეთებას და თისიდან მერწყვას, — მაინც ენატრებოდა ხოლმე ცუვას ნახვა; მოუთმენლად ელოდა ის წარის დარეკას და შინ წასვლას...



— იცი, ცუგა, უშენოდ როგორ ვდარდობ სოლმე? — ეტეოდა ქეთინო სშირად, და ცუგაც, თითქოს მიხვდა, რას ეუბნებოდა, შეკუნტრუშდებოდა, ტანს შეირხვედა, კუდს გააქნევდა, ტუჩებს მოილოკავდა, სიამით ჩაჯდებოდა, წინა ფეხებსე-ლა იღვა და შესედავდა მორცხვად, თითქოს ეუბნებოდა:

— ვიცი, ქეთინო, ვიცი... მე უფრო მოწუენილი ვარ უშენოდ... დილით დედა რომ მიაცილებდა სოლმე ქეთინოს საბავშო ბაღში, ცუგაც მუდამ თან დასდევდა და ზირით დაქქონდა ქეთინოს აბჯა...

ასე იყო სოლმე მუდამ, მაგრამ ერთხელ კი...

ეს იყო შემოდგომის ერთ ღრუბლიან დღეს...

3

ცა ქინქვლაჲდა...

ქარი ჭქროდა და ხეებს აცლიდა გავეითლებულ ფოთლებს, ჭაერში ანიავებდა.

ქუნა ჩვეულებრივ სმაურობდა...

მიჭქროდა ტრამპაი, მიგუგუნებდენ ავტოები, და მუშტრის ლოდინში შეეტლე ეტლის კოფოზე სთუფებდა...

მისი გამხდარი ცხენები სანტად ფრუტუნობდენ და მიწაზე ტოტებს სცემდენ.


ხალხი ირეოდა...

საბავშო ბაღშიც გათავდა შეცადინეობა და ბავშვები კრიაძულით გაუდგენ შინისკენ....

ქეთინომ რა ჩვეულებრივად გასაცილებლად მოსული დედიკო ვერ შენიშნა კარებში, დაიწყო აქეთ-იქით თვალიერება...

თუშცა დედიკოს დაგვიანებოდა მისვლა, რადგანაც საათი გაჩერებულყო და დრო გამოჭზარეოდა, სამაგიეროდ ცუგა მოსულიყო თავის დროზე და ალაუაფის კარის წინ იწვა...

შეამჩნია ქეთინო, წამოხტა, მივარდა, გაეთამაშა, გაუქროლ-გამოუქროლა და შესედა...



— ცუგა, დედა სადღა? — შეკითხა ქეთინო და ალერსით ხელი თავსე გადაუსვა...

ცუგამ ეელი მოიღერა და ეეუით ეალუსე ადგა, თითქოს ეუბნებო:

— ნუ გეძინია, საეუარელო ქეთინო, თუძცა დედამ დიგვიანა, მაგრამ მე აქ არ ვარ?!

— მამ, რადგან დედიკო არაა, მოდი მე და შენ წავიდეთ, ცუგა, შინ...

— კარგი, — უთხრა ქეთინომ და წამოვიდა.

ცუგამ თანხმობის ნიშნად ერთი შეჭეუვა, წინ გაუქროლა, მობრუნდა და გვერდსე ამოუდგა დარაჯივით...

ღ

ქეთინო ქუჩის მეორე მხარეს უნდა გადასულიყო, მაგრამ რადგანაც დედიკოსაგან და მამისაგან დარიგებული იყო, რომ იმ დროს არ გადასულიყო, როცა ან ვაკონი მოდის, ან ავტომობილი მოქრის, რომ ქვემ არ ჩავარდეს და არ გაიტყვლიტოს, ამიტომ შესდგა და უცდიდა მოხერხებულ დროს...

ცუკაც ჩვეულებრივ გვერდზე უდგა...

— მია, ვალიკო! — შეჭვივია ქეთინომ, რა მეორე მხარეს შენიშნა ის ვიღაც მოქალაქესთან ერთად მიმავალი, და სინარულით გაექანა გადაღმა.

ქეთინოს ამ დროს დააფიქვდა გაფრთხილებაც და ისიც, რომ ამ დროს ავტომობილი მოჭქროდა, და ის იყო ქვეშ უნდა მოჭეოლოდა, რომ ცუკამ შეჭვივა, უკანდინ ეძვერა, კაბაში ჩაავლო ზირი და აქეთ გამოსწია, ხიფათს ააცდინა და მოფერს აუსტა, აღმასი კბილებით საფერინდა.

შემოევნია ხალხი, გადმოეშვა ვალიკო და შემანებული გოგონა ხელში აიტაცა...

— შე კუდრაჭა, ხომ იცი, რომ აქ ფრთხილად უნდა სინარული? — უთხრა ვალიკომ და დაუევა...

— მოფერმა გამაფრთხილებელი ნიშანიც მისცა და დროსაც შეაჩერა, თორემ... — ჩაილაპარაკა ვიღაც მოქალაქემ...

მილიციელი იმ წამსვე აიტუსა იქ.

— დამშვიდდით, მოქალაქეო, არაფერია... ბავშს ისეთი ძაღლი ჰყოლია მფარველად, რომ ვერავინ ვერაფერს დააკლებს მას! — წარმოთქვა მან დიმილით.

ძაღლი ვერაფრის გზით ვერ მოაშორეს მოფერს, ვიდრე ქეთინომ არ დაუძახა:

— ცუკა!..

მაშინ კი გადმოსტა ის, მივიდა, კასარებულმა თათები ააწყო ხედ, მერე კვლავ მოფერს მიუბრუნდა და ეევა დაუწყო.

ამსობაში დედიკოც გამოჩნდა, რომელიც სკოლაში მისულიყო და, რა იქ კვლავ ენახა ბავში, გულგანეთილი გამოჭეოლოდა კნას. მან ჩამოართვა ქეთინო ვალიკოს და გულში ჩაიხუტა.

— ხომ გითხარი, რომ ეს ძაღლი შენი კარგი მეგობარი იქნება შეტიქი?!

უბნებოდა მია ვალიკო, შინისკენ რომ მიდიოდა.

გამარჯვებული ცუკა ამაყად მირბოდა წინ.

გზალება გავითა საერთო ბინაში.

შემოდგომის სუსსი დადგა,
გადაუვითლდა ტუე და კელი,
ნისლი ჩაწვა შთის კალთებზე,
დაღურეშილა ეველაფერი.



სწავლის შემდეგ სკოლის ესოს
მსიარული უჩანს სასე—
რა მშენიერად მუშაობენ
ეს ბავშვები, აბა ნახეთ!!

ზოგი ვხას ჭკვის, ზოგიც კიბეს,
ზოგიც ჩეხავს მარდად შეშებს,
და ერთგული სწავლა-შრომით
ახარებენ მასწავლებლებს.

ჩანგრეული ვსის აღმართი
ამოაუხეს დიდრონ ლოდით,
თანასწორად შრომობს ეველა,
მეტ-ნაკლები არვის მოსდის!



მუშაობენ ასე ერთად,
შეაკეთეს ესო-ბაღი,
იციან, რომ მალე მიწას
დაჩანდება სამთრის დაღი.

გ. შალვაშვილი.



I

— სულ დამშრალა ჩვენი მდინარე. ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გასტემა კაცი. წავალთ მე და შაქრო საბანაოდ, დიდ ანკეცებსაც წავიღებთ, საყანსძმოდ თვესს მოვიტან.

დედამ გოციას ნება მისცა წუალზე წასულიყო. გამხიარულდა გოცია და შაქროსთან ჩაირბინა, რომელიც იქვე უცდიდა ჰატარა ნაკადულის ზირას.

ეს ნაკადული საფსულში არხსოდეც არ შრება. მახლობელი გორაკის კლდიდან გამოდის და ისეთი ცივია, რომ გოციას არც კი შეუძლია დიდხანს შივ გაჩერება. ამ ნაკადულს მდინარედან, რომელსაც იგი უერთდება, ჰატარა თვესებიც შემოჭეუებიან სოლმე.

შაქროს თავისი ჰატარა წისქვილის ღარი მოშლოდა და იმას აკეთებდა, როდესაც გოცია მივიდა.

— აი ჩემი წისქვილი, მოიტანე სიმინდი და დაუჭკვათ, — მიმართა მან გოციას.

— რით დაუჭკავ? — წისქვილის ქვა რომ არ გაქვს?



— ჰო, წისქვილის ქვა მაკლია, ბორბალი კი მაქვს. შეხედე, რა ჩქარა ტრიალებს!

— არც სვიმირა გაქვს! სარეკელაც გაკლია. სიძინდი რომ მოვიტანო, რაზე დავარბოთ, ან როგორ უნდა დაიფქვას, მარტო ბორბალი და ღარი რომ ვერ დაფქვავს სიძინდს?

— იცი, ვოვია, ჩვენ რომ მასწავლებელმა დაგვაგადა, სასაფუხელოდ წისქვილი კარგად დათვალიერეთო, ეცადეთ მისი ნიძუმი გააკეთოთ და აქ მოიტანეთო, მოდი ამხატარა დღელსე ვაბრუნოთ წისქვილი და ვახეინოთ ჩვენ მასწავლებელს.

— შერე ჩვენ რომ ვერ გავაკეთებთ, როგორ გამოვთალოთ წისქვილის ქვა? სვიმირასაც კარგი გაკეთება უნდა.

— მია ვასილს შევესწავნოთ, ის მოგვემხრება, მას ბევრი დიდი წისქვილი გაუკეთებია.

— ეგ რაღა გამოვიდა, თუკი სხვას ვაუვაკეთებინებთ! საქმე ისაა, ჩვენ უნდა ვაუვაკეთოთ ჩვენი ხელით, მე კი ასე ვიტყვოდი: წავიდეთ მია ვასილთან, დაუგვირდეთ, როგორ თლის ის წისქვილის ქვებს, როგორ აკეთებს სვიმირას და ჩვენც ასე ვაუვაკეთოთ.

— ჩინებული ახრია!

— მაშ, მე საბანაოდ აღარ წავაღ, ჩვენ ესღა ჰირდახირ მია ვასილთან წავიდეთ.

II

— მია, სად იმოვეება ასეთი ქვა, შენ რომ თლი? — შეკითხა მია ვასილს შაქრო, როდესაც მასთან მივიდნენ ის და გოგია.

— როგორ, ბიჭო, წისქვილის კეთება ხომ არ უნდა დაიწყოთ, რომ შეკითხები?

— არა, ისე გკითხე, მინდა ვიცოდე!

— აი, ხომ ხედავ, აკერ რომ გადმოუუდებელი გორაა? ის სულ ასეთი თეთრი კლდეა. იქ ვამტკრევე და მომაქვს.

ამ დროს გოგიამ ხელში აიღო საწისქვილე ქვის მოსრდილი ნაჭერი.

— ხომ შეიძლება, მია, ეს ჰატარა ქვა დაგვიტომა?

— წაიღე, მე ეგ მაინც არაფერში გამომაძგება!

შემდეგ შაქრო ახლად გაკეთებულ სვიმირას მიუახლოვდა, კარგად დაუკვირდა მას.

— მია, როგორ უნდა დატრიალდეს მაგოდენა ქვა, ამისხენი, როგორ კეთდება. არ შეიძლება?

— ჰე! როგორც ვეტყობათ, თქვენ არა ხუმრობთ! — უპასუხა მათ მია ვასილმა, — ნამდვილად წისქვილის კეთება გინდათ შეისწავლოთ. აი, ხომ ხედავთ, ამ ქვას შუაგულზე რომ ნახვრეტი აქვს. ამ ნახვრეტში ბორბლის ღერძს დავამკრებ. ეს ქვა წისქვილის ხედა ქვაა, რომელიც ბორბლის ღერძის საშუალებით ტრიალებს, ქვედა ქვა კი უოველთუვის უძნავადაა გაჩერებული. როდესაც სიმინდი ხვი-

შირიდან თითო მარცვლობით ჩადის ამ ქვასა და ქვას შუა, იგი იფქვება და სიმინდის ნაცვლად ფქვილი გამოდის.

მაქრომ და გოგიაშ კარგად გაიკვს, თუ როგორ კეთდება წისქვილი და განარებულნი გაიქცენ შინ.



— აბა, ჩაქუნი, ქვის სატყესი, ქვის საჭრელი—ვევლაფერი უნდა ვინაოვნოთ და შევუდგეთ საქმეს,—სთქვა გოგიაშ და ამ ხელსაწყოების მოსაძებნად გაეშურა.

დაიწვეს მუშაობა. ქვის საჭრელის მაკივრობას ძველი ნაჯახი ასრულებდა. იმ დღეს, როგორც იყო, დაამზადეს ორი წისქვილის ქვა—სედა და ქვედა. მეორე დღეს ბორბლის ღარისა და სვიმირის კაკეთებს შეუდგენ.

— სად წავიდოთ ახლა ესენი, სად ავაგოთ წისქვილი?

— წამო, სულ ზევით წავიდეთ, ისეთ ადგილზე, რომ სსვამ ვერ მივახლოს. თუ ილიკომ და ვანომ გაიკვს, ამენებულ წისქვილს დაკვინგრევენ, სომ იცი. ეს ვევლაფერი კალათაში ჩავაწუთ და ზედ ტილო გადავაფაროთ. შენ წაიდე. ვითომ მამასთან ტყეში სადილი მივაქვს.

III

— სად დაიკარგა ამდენ ხანს გოგია? გოგია! უუ, გოგია! — გაიძახოდა ბიჭნიდან დედა.—ღამდება, ესლა უოველი ფრინველი და ოთხფეხი თავის ბინაზე მიდის. მიკვირს, გოგიას სომ არაფერი მოსვლია, ნუთუ არ მოშივდა შინც?

— ეჭ, ერთი შენც... დახებუ თავი, მოვა, აბა რას იხამს? წყალზე იქნებიან, თვეზაობენ, ალბათ, დაღამებაც ვერ შეამხნიეს.—წაილანარგა გოგიას მამამ.

ამ დროს გოგია და შაქრო გაცოფებული ბუშაობდნენ.

— თავი დაუანებოთ, გოგია, სომ სედავ, სარეკელა დაკვრის მსოლოდ გასაკეთებელი, ხვალ დილას მოვიდეთ და ისიც გავაკეთოთ. უკვე დალაშდა. დედა ნამდვილად დამეძებს.

მეორე დღეს, სადილობის დროს, ბავშვებმა ჰატარა წისქვილი აბრუნეს.

— წისქვილი აბრუნდა, წისქვილი აბრუნდა! ვაშა! — იმასოდა განარებული გოგია.

მართლა ლამაზი სანახავი იყო ჰატარა ნაკადულზე ასლად აბრუნებული ჰატარა წისქვილი. უკვლავური გაკეთებით ბავშვებს. თხმელის ხის ღარიდან წყალი წისქვილის ბორბალს სცემდა და ქვას ციბრუტით ატრიალებდა, ქვას შემოდან სვიმირა დაჭურვებდა.

— წადი, გოგია, შინ, სიმინდი მოიტანე, დავუქვით.

გოგია სანახაროდ გაიქცა შინისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ წისქვილთან განხდა ხელში ჰატარა თოფრაკით.

— სიმინდი მოვიტანე, კაცო, დამიფქვი საღამოსთვის, თორემ ვასმისათვის ფქვილი არა მაქვს.

— ამ საათში! — უმასუსა შაქრომ და თოფრაკი სვიმირაში გადააბრქვა.


რამდენიმე ცალი სიმინდი ჩავარდა წისქვილის ქვის სიდრუვეში და წისქვილიც გაჩერდა. გაკვირდნენ ბავშვები.

— რატომ გაჩერდა წისქვილი? სომ ისე მოვაწუქეთ, როგორც სხვა წისქვილებია მოწუბილი? რატომ არა ფქვავს? — კითხულობს გაკვირვებული შაქრო.

— ჩვენ ძიასთან მივიდეთ, ვუთხრათ ჩვენი გაჭირვება.

ის იყო გასაქცევად მოემსადნენ ბავშვები, რომ მასწავლებელი თავს წამოადგათ და გაცოცხლებული გაჩერდა, როდესაც ბავშვებისაგან აკებული წისქვილი დაინახა.

— ნუთუ თქვენ გაკეთეთ? უოჩად, უოჩად, კარვად შეგისრულებით დავალება, ნამდვილი ხელოსნები გამოხვალთ, — ამბობდა ის.



— კი, მაგრამ, მასწავლებელო, სიძინდს არა ფქვავეს და ასეთი წისქვილი რათ გვინდა?

მასწავლებელს გაეცინა და უთხრა:

— ეს წისქვილი სიძინდს ვერ დაფქვავეს, რადგან ქვა ძალიან ზატარაა და იმდენი სიძიმე არა აქვს, რომ სმელი სიძინდის მარცვლი ვასრისოს. ამ სიღრუეში როდესაც მარცვლები ჩაცვივდება, ეს მხოლოდ თქვენი წისქვილის გაჩერებას გამოიწვევს. აბა, გაწმინდეთ ისევე ეს ქვები და გამოაცალეთ სიძინდის მარცვლები.

გამოაცალეს თუ არა მარცვლები, წისქვილი ისევე აბრუნდა.

— ჩინებუღია, ჩინებუღი! — ამბობდა მასწავლებელი და თან ზატარა ხელოვნებს აღერსიანად თავზე ხელს უხვამდა.

დავით ციციშვილი

გ ა მ ო ი წ ე რ ი თ თ ქ ვ ე ნ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი

„**ო ქ ტ ო მ ბ რ ე ლ ი**“



სამოედი ბავში ტენეკო.

ჩვენი საბჭოთა კავშირი დიდი ქვეყანაა. კავშირი დასასლესულია სხვადასხვა ხალხით. ჩვენგან ჩრდილოეთით, შორს, უინულოვანი ზღვის ნაპირებზე, სამოედები ცხოვრობენ.

სამოედების ქვეყანას ტუნდრას ეძახიან.

იქური ბუნება სრულებით არ ჰგავს ჩვენს ქვეყანას. იქ ძალზე ცივა და ამიტომ ეველა მცენარეს არ შეუძლია გასარება.

‘საფხული მოკლეა, სამთარი კი გრძელი. თოვლი საფხულობით გადაობასაც კი ვერ ასწრებს. მხოლოდ ზოგიერთი ბალახი, მკრთალი ევაჯილები და წვრილი ბუჩქები იზრდება. უფრო სშირად შესვლებით ხავსს, რომელსაც „ირმის ხავსს“ ეძახიან.

ტუნდრაში ბინადრობს მრავალი ცხოველი და ფრინველი, სხვადასხვა ძვირფასბეჭვიანი ნადირი, ჩრდილოეთის ძეღა, კურდღელი, ზოღარული ბუ, გარეული ქათამი და სხ.

აქაურ ცხოველებსა და ფრინველებს განსაკუთრებული თვისება აქვთ: სამთრობით ისინი იმოსებიან თეთრი ბეწვით და ბუმბულით. რადგანაც სამთარში ტუნდრა დაფარულია თოვლით, თეთრად შემოსილ ცხოველს შედარებით უშიშრად შეუძლია იცხოვროს, რადგანაც მონადირეები და სხვა მტრები თეთრად შემოსილ ცხოველებს ვერ შეამჩნევენ და ვერაფერს დააკლებენ.

სამოედები მოხეტიალე ხალხია.

მათი საცხოვრებელი მთავარი წყარო ირმებია.

დიდხალ ირმებს აშენებენ.

ირმები უწევენ მათ ცხენების მკვირობას და თავისი ხორციით ჭკვებანს სამოედებს.

თვითონ ირმები ხაკსით იკვებებიან და ამიტომ სამთარში, როდესაც ტუნდრა თოვლით იფარება და ეველბაფური იეინება, ბევრი ირმი იხოცება.

უბედურების თავიდან ასაცილებლად სამოედები გადადიან ტყეების მახლობლად, რომ ირმები ხეების ტოტებით ჭკვებონ.

დადგება თუ არა საფხული, სამოედები აიურებიან სოლმე ტყეებიდან და ჩრდილოეთის ზღვების ნაპირებზე მიდიან. ასეთი გადასვლის დროს ირმების ჯოგს მკლები მისდევენ, რომლებიც დაეცემიან და იტაცებენ ირმებს.

აი ასეთი ქვეყნიდან ჩრდილოეთის ერთ საკუბერნიო ქალაქ არხანგელსკში ჰატარა ბავში ჩაიუვანეს. ის ზოი წლისა იქნებოდა, მაგრამ შესედულობით კი ექვსი წლისას ჰკავდა, ისეთი ჰატარა იუო. ტანსე ირმის ტვაის ტანსაცმელი ეცვა, მისი ქუდი და ფხსაცმელები ირმის ტვაისგან იუო შეკერილი. ჰატარა სამოედი ძალზე წენარი ბავში იუო. იგი ქალაქის სკოლაში მიაბარეს, მაგრამ მისი სახელი მასწავლებლებმა და ამხანაგებმა მხოლოდ მესამე დღეს გაიგეს. სტუფან ტენეკო ერქვა. დედ-მამა კი მას თურმე შელიკოს ეძახდა. მას მედიკო უფრო მოსწონდა და ვინც ამ სახელს დაუძახებდა, მას უფრო ხალისით უძახუხებდა.

ზატარა ტენეკოს სკოლა ეუცხოებოდა, მას არასოდეს არ ენახა არც ქალაქის უსარმაზარი მენობები და არც ქუხები.

ზატარა ტენეკო ქალაქში ჩამოეყვანა მდე ტუნდრაში მშობლებთან ერთად დაეხეტებოდა. ქალაქში ის ძალიან მორცხვობდა და ვეკლბუგერს გაკვირვებით მისწერებოდა, ჩამოჯდებოდა სადმე და მისი დანძრევა აღარავის შეეძლო.

ზატარა სამოედს სკოლის ამხანაგები ზირველად დასცინოდენ, მაგრამ შეძვეტ შეეცოდათ და დაცინვასაც თავი დანებეს, ღმობიურად ეჭურობოდენ.

ტენეკო შეეჩვია სკოლას და შეცდინეობას მიჰყო ხელი, ცუდად სწავლობდა.

ერთხელ მასწავლებელს, რომელთანაც ტენეკო სწავლობდა, სახუტრად ორი ირემი გამოუგზავნეს. ტენეკო რაც ტუნდრიდან ჩამოვიდა, ირემი არ ენახა და სშირად ნატრობდა სოლმე.

სამთრის დღე იყო, როდესაც ტენეკო მარსილებით ცურაობდა. უცებ მასლობელ თავლაში ირმის თავი დაინახა. ტენეკოს თვალები ანთო, ველან მოითმინა და ირმისკენ გაექანა განსარებული. მივარდა ირემს, ხელები მოხვია და კოცნა დაუწყო. სიხარულით თვალეზე ცრემლები მოადგა. როდესაც მეორე ირემიც დაინახა, მის სიხარულს სასდვარი არ ჰქონდა. მეორე ირემსაც მივარდა და გადაეხვია. ორივე ირემი შერე კარში გამოიყვანა და თავის ენაზე დაუწყო ლაპარაკი და ალერსი. ირმები წენარად იდგენ, თითქოს იმათაც გაეხარდათ ზატარა სამოედის ნახვამ.

ამ დღიდან ტენეკო ირემებს არ შორდებოდა. როგორც კი სწავლა გათავდებოდა, მაშინვე ირმებთან გაიქცეოდა, უაღერსებდა და შერე უკანვე ბრუნდებოდა.

ერთხელ მასწავლებელმა შეამჩნია, როგორ ეფერებოდა ტენეკო ირემებს, დაუძახა და უთხრა:

— ტენეკო, რატომ გავკესარდა ირმების ნახვა?

ტენეკო კარგახანს ჩაფიქრებული იყო, შერე თავი მალდა ასწია და მასწავლებელს დადონებით უნახუნა:

— მასწავლებლო, რაც ტუნდრიდან წამოვედი, ირემი არ მინახავს. ამიტომ გამეხარდა. ირემები ჩვენ, სამოედებს, უსომოდ გვიყვარს. ისეთი კეთილი და გონიერი ცხოველებია...

მე შენატრება ტუნდრა, ირემები და უველა.

— ჰო, კარგი, კარგი, ხემა ტენეკო, ჯერ კარგად ისწავლე და, როცა სწავლას გაათავებ, შენს ქვეყანაში წახვალ და ხალხსაც გამოადგები და ირემების ნახვასაც მოესწრები.

ტენეკომ სკოლაში სწავლას დასრულდა და ცხოვრება გაიწყო, გაიცნო საბჭოთა საქართველოც.

ტენეკო კარგად სწავლობს. ირემები ისევე ისე უყვარს და გაკეთილების შემდეგ მათთან მიდის მოსაფერებლად. ამხანაგები აღარ დასცინიან, იმათ კარგად იციან თავისი ამხანაგის მწუსნარება და ზატარა სამოედს ზატვიცდვით ეპურობიან.

აღ. გორგაძე.





როგორ ჩავატარეთ ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავი ტფილისში.

ოქტომბრის რევოლუციის თერთმეტი წლის თავი ტფილისის მშრომელმა მოსახლეობამ დიდის ზემოთ ჩაატარა.

ტფილისის მშრომელი მოსახლეობა რამდენიმე დღით ადრე შეუდგა საოქტომბრო მზადებას: მზადდებოდა პლაკატები, ლოზუნგები, მოძღვრებები, დიაგრამები და სხვ.

ჩვენი სკოლები, რაიონული პიონერ-ორგანიზაციები დიდის სა-

ქმიანობით ემზადებოდნენ ამ დიადი დღისათვის, თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. თუ ვინ უფრო მომზადებული შეხვდებოდა 11 წლის თავს

ნოემბრის ღამეს ტფილისი არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. წარმოება-დაწესებულებანი, სკოლები მწვანეშია გახვეული, მრავალფერ ელნათურებითაა განათებული და წითელი დროშებით აფერადებული.



სასახლე, ტფილისის აღმასკომის, საქართველოს კომპარტიის (ბ) და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების შენობები ელნათურებში სხედან... მთავარი ქუჩები ხალხითაა ავსილი. აქა-იქ მუსიკის და პიონერ-რაზმების საყვირების ხმა ისმის წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებში, პიონერ-ორგანიზაციებში მოხსენებები ტარდება ოქტომბრის მე-11 წლის თავზე ჩვენი მორიგი ამოცანების შესახებ... ქალაქი ელექტრონებშია ჩამჯდარი და ემზადება 7 ნოემბრისათვის.

7 ნოემბერს მშვენიერი შემოდგომის თბილი დღე დადგა. ტრამვაის და ეტლების მოძრაობა შეწყვეტილია. ქუჩების ორივე მხარე საესეა მუშებით, წითელარმიელებით, ახალგაზრდობით, პიონერებით.

სასახლის წინ ტრუბუნა დგას. ის ძვირფასი სტუმრების მოლოდინშია. ხალხი ტრიბუნას უახლოვდება, რომელზედაც დგანან: მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, შალვა ელიაფა, მიხა კახიანი, ლადო სუბიშვილი და სხვ..

დემონსტრაცია ტრიბუნას ორი მხრიდან უვლის.

ტრიბუნიდან გაისმის:

— გაუმარჯოს საერთაშორისო ოქტომბერს!

— გაუმარჯოს მსოფლიო მუშებს, გლეხებს და მშრომელ ბავშობას!

— გაუმარჯოს კომპარტიას და კომკავშირს!

სალამობით მუშებმა კვლავ კლუბებს, თეატრებს, კინოებს მიაშურეს, იქ უფასოდ უჩვენებდნენ რევოლუციონურ დრამებს, კინო-სურათებს და სხვა.

ლევ ტოლსტოი

არ არსებობს დედამიწის ზურგზე წერა-კითხვის მკოდნე ადამიანი, რომელსაც არ გაეგონოს რამ დიდ მწერალ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოიზე.

ტოლსტოის თხზულებანი გადათარგმნილია ორმოცდაორ ენაზე. იასნაია-პოლიანაში, სადაც ტოლსტოიმ გაატარა თითქმის მთელი თავისი ცხოვრება, ხალხი მოდიოდა ქვეყნის ყველა კუთხეებიდან: ამერიკელები, ინდუსები, გერმანელები, იაპონელები, ინგლისელები და სხვ.

როდესაც მოკვდა ტოლსტოი, მთელი ქვეყნის გახეთქი წერილებით და მოგონებებით სავსე იყო ტოლსტოიზე.

ტოლსტოიმ დაწერა ბევრი წიგნი. ოდესმე თქვენც წაიკითხავთ მათ.

თქვენ გაიგებთ ტოლსტოის ცხოვრების შესახებაც, იმაზედაც, თუ თავის უკანასკნელ წლებში ის როგორ ცხოვრობდა და მუშაობდა თავის მამულში „იასნაია პოლიანაში“, ასწავლიდა გლეხის ბავშვებს და ცდილობდა ისე ეცხოვრა, როგორც სხვა მშრომელებს—ხნავდა, ჩექმებს კერავდა, ღურგლობდა.

ტოლსტოი სხვებსაც მოუწოდებდა სადა ცხოვრებისაკენ და შრომისაკენ. მას სწამდა, რომ თუ ადამიანები შეთანხმდებიან ერთიერთმანეთთან, რომ ასე იცხოვრონ,



ლევ ტოლსტოი ბავშვებთან.

მაშინ არავითარი ბრძოლა არ იქნება საჭირო და ყველა ბედნიერი გახდება.


ეს, რასაკვირველია, სწორი არაა. იმდრომდე, ვიდრე ერთნი ქარხნებში მუშაობენ, ვიდრე კაპიტალისტები მუშების ოფლით ხარობენ და ნებიერობენ,—ყველა ადამიანი ბედნიერი არ იქნება.

არა მშვიდობიანობის გზით, არამედ მზიან მომავლისათვის მძიმე ბრძოლით მოიპოვებენ მუშები და ღარიბები ბედნიერ ცხოვრებას და როდესაც ისინი გაიმარჯვებენ მთელს ქვეყანაზე, როგორც ჩვენში გაიმარჯვეს ოქტომბერში, მთელი ხალხი იქნება თანასწორი და ბედნიერი.

ლევ ტოლსტოი დაიბადა ასი წლის წინათ. 1828 წლის 28 აგვისტოს. გადაიცვალა 1910 წლის 20 ნოემბერს—ოთხმოცდაორი წლის მოხუცი.

ცეპელინი № 127

გერმანიაში ააშენეს დიდი ჰაეროვანი ნანსენი. რასაკვირველია, როგემი „ცეპელინი 127“. ჯერ ნივთებს, რაც მათთვის არ იქნება



ცეპელინი № 127 და უდიდესი საოკეანო გემი.

ასეთი დიდი ჰაეროვანი ნანსენი მისი სიგრძე მეოთხედი კილომეტრია. ცეპელინი ოკეანეს დიდ გემზე უგრძესია. სიმძიმით ის ორთქლმავალზე უფრო მძიმეა. მის გონდოლაში არის 10 კაიუტა, სასტუმრო, დარბაზი, სამზარეულო და რადიოსადგური.

საქირო, ჩაალაგებენ კაიუტებში და სასტუმრო დარბაზში იქნება მო-



ამ ჰაეროვანით მომავალ 1928 წელს მიფრინავს ჩრდილო პოლუსზე ცნობილი მოგზაური ფრი-

მარაგებული სანოვაგე და პოლარულ ქვეყნებში გადაფრენისათვის საჭირო ნივთები

გერმანელი მონა.

მიმდინარე წლის 23 აპრილს დარმა კაცმა აიყვანა მოსამსახურედ სოფ. გუნდზორიუკში ერთმა მდი- კარლ იონგელეიმი.

პატრონი ველოსიპედით წავიდა მის მოსაყვანად. უკან როცა დაბრუნდენ, პატრონი ველოსიპედით მოდიოდა, ბიჭი კი მთელი საათი უკან ქვეითად მოსდევდა. კარლს მთელი დღე ამუშავებდენ, სადილობისას მიუგდებდენ პურის ნაქერს და კართოფილს; ჯერ კიდევ ვერ მოასწრებდა ლუკმის გადაყლაპვას, რომ მიამაზებდენ ხოლმე: „რას პიტკვლეფ ამდენ ხანს!“ და საბრალო კარლი იძულებული ხდებოდა მუშაობა დაეწყო.

ლამე კარლი იძინებდა ფარდულში იატაკზე, სადაც სასოფლო-სამეურნეო იარაღები ეყარა და საბნის ნაცვლად თივაში გაეხვეოდა ხოლმე. დილას როდესაც გამოიღვიძებდა, ფეხები მას გაყინული

ჰქონდა ხოლმე, ისე რომ უძნელდებოდა კიდევ ფეხზე დგომა.

კარლმა თავისი ცხოვრების შესახებ შუობლებს მისწერა; პატრონმა გაუგო, გაიქცა ფოსტაში და სთხოვა ფოსტის მოსამსახურეს, რომ დაეკავებინა წერილი.

მეორე დღეს მან განუცხადა კარლს, რომ მას იგი აღარ სჭირდება, და გაგზავნა შინ.

კარლმა ძლივს მიაღწია შინ და მძიმედ დაავადმყოფდა.

ექიმმა სთქვა, ბავში ძალიან სუსტად არისო.

რამდენიმე დღის შემდეგ კარლი გარდაიცვალა.

ის კაცი, ვისთანაც მსახურებდა კარლი, ყველაზე მდიდარი იყო მთელ სოფელში.

მზის დაბნელება

12 ნოემბერს საქართველოში კარგად ჩანდა მზის დაბნელება.



11 საათსა და 5 წუთზე ხალხს ხელში ეჭირა გამორუული მინები

და მისჩერებოდენ მზეს, რომელსაც თანდათან ფარავდა შავი რალაც. 12 საათსა და 34 წუთზე თითქმის ნახევარი მზე იყო დაფარული. 12 ნოემბერს ჩვენში მზის ნახევარი იყო დაბნელებული, ზოგ ქვეყნებში კი მზე სულ დაბნელდა.

საინტერესოა ვიცოდეთ, რა იწვევს მზის დაბნელებს. ლამაზობით ცაზე მთვარეს ვხედავთ. ის გაჩერებული კი არ არის, დადის და ხანდახან ისე მოხდება, რომ მზე, მთვარე და დედამიწა ერთ ხაზზე მოხვდებიან. ვთქვათ, ხაზის ერთ ბოლოში არის დედამიწა, მეორეში—მზე, მათ შუა კი—მთვარე. მზე რომ სხივებს ჰგზავნის, იმ სხივებს მთვარე გადაელობება და დედამიწამდე არ გა-



მოუშვებს, ამიტომ ჩვენ მზეს ვე-
ლარ დავინახავთ, მზე ჩვენთვის
„დაბნელდება“. დააკვირდით სუ-
რათს:

ძირს დედამიწაა, შუაში — მთვა-
რე, ზევით — მზე. მთვარიდან დე-
დამიწის ერთ ნაწილს ეცემა შავი

ჩრდილი და იმ ნაწილში ^{არჩვენული} მთვარეობის
რებთათვის მზე დაბნელდება, ისი-
ნიმას ვერ დაინახავენ, სანამ მთვარე
გვერდზე არ გაიწევეს და მზის
სხივებს ისევ არ გაეხსნებათ გზა
დედამიწისკენ.

როგორ შევხვდით ოქტომბერს

(მე-3 შრომის სკოლა)

მზემ ქუჩებში სხივები გად-
მოღვარა. გამხიარულდა ქალაქი,
და სკოლაში მოწაფეებმა იწყეს
დენა. უმეტესი ნაწილი პიონერე-
ბი და ოქტომბრელებია, რომელ-
თაც სიხარულისაგან გული აღარ
ეტევათ მკერდში.

— ოჰო, ვანოს გაუმარჯოს!

— რა მოგაქვს?

— პლაკატები.

— აბა მიჩვენე, — და პიონერები
გარშემო შემოეხვიენ პატარა სა-
ხეცქირივით ოქტომბრელს.

— კარგია, კარგი!

— მშვენიერია! — ისმის პიონერ-
თა ხმები.

ეზოში ქრიამული და სიმხია-
რულეა. გარეთ ინტერნაციონა-
ლის სიმღერა ისმის და ქუჩები
დროშებით წითლადაა შეღები-
ლი.

— სდექ! — გაისმა მტკიცე ხმა.

ყველა დამწყვიტდნ

— ბიჯებით იარ!

და დაიძრა მწყობრად დაწყო-
ბილი მოწაფეობა მხიარული ქუ-
ჩებისაკენ.

პიონერი გოგი ლომიძე.

როგორ ჩავატარეთ ოქტომბრის დღესასწაული.

(პირველი საბავშვო ბაღი)

ჩვენი დიდი ოთახი მოვრთეთ
ყვავილებით და წითელი დროშე-
ბით. ძია ლენინის სურათი ძალი-
ან გავალამაზეთ. ჩვენ ბევრი პიო-
ნერი გვესტუმრა, ერთად ვივარ-
ჯიშეთ, ვიმღერეთ და ვიცეკვეთ.
ნინომ სთქვა ოქტომბრის ლექსი.

ავტომობილითაც გავგვასიერნეს.
ხელში დროშები გვეჭირა. გვიხა-
როდა. ვაშა და ვაშა ბევრი ვიძა-
ხეთ. საუზმეც კარგი გვეჭონდა: კა-
კაო, გემრიელი ნამცხვარი, ყურ-
ძენი და კომფეტები. როცა ვსაუ-
ზმობდით, ვმღეროდით.

უფროსი ჯგუფი.

მე-32 შრომის სკოლა

პირველ ნომბერს მე-32 შრ. სკ. VI-abc ჯგუფის მოწაფეებმა გაერთიანებული კრება მოვაწყეთ. კრების მიზანი იყო ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარება. ამისთვის ჩვენი ჯგუფები დაიყოფილებოდნენ:

1) ლენინის კუთხის მომწყობი რგოლი,

2) მასალის შემგროვებელი რგოლი.

3) სარედაქციო კოლეგია.

ლენინის კუთხის მომწყობ რგოლს დავალა ლენინის სურათის და სხვადასხვა სარეკოლო სურათების დახატვა, პლაკატების და ლოზუნგების შედგენა. ამავე რგოლის მოვალეობას შეადგენდა ლენინის კუთხის მხატვრულად მოწყობა; ამისათვის უნდა შეეძინათ ნაძვის მწვანე ტოტები და წითელი ქაღალდებისაგან გაეკეთებიათ დროშები.

მასალის შემგროვებელ რგოლს უნდა შეეგროვებინა მასალები ოქტომბრის რეკოლოციის შესახებ. დამუშავებული მასალა გადაეცა სარედაქციო კოლეგიას, რომელსაც უნდა გამოეცა კედლის გაზეთი „წითელი ოქტომბერი“. მ ნომბრისათვის ყველაფერი მზად იყო. ლენინის კუთხე მოვაწყეთ, რამაც ძალიან დაგვიმშვენა კლასი. ჩვენმა ჯგუფმა შესაფერი ლექსები და სიმღერები შეისწავლა. მ ნომბერს, საღამოს 7 საათზე, უფროს ჯგუფებთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ ოქტომბრის რეკოლოციის 11 წლის თავის დღესასწაულის ჩატარებაში. ჩვენს საღამოს დაესწრენ ჩვენი მშობლები და მათთან ერთად საღამოს შემდეგ ნასიამოვნები დავბრუნდით შინ.

მე-32 შრ. სკ. VI ჯგუფის მოწაფეები.





თავის ხელით გააკეთა.



სალომეს მეგობარს თიკოს ძიამ ჩაის ჭურ-
ქელი უყიდა.

— მეც მინდა ჩაის ჭურქელი. — დაიწყო
ტირილი სალომემ.

— მერე რაა, თუ გინდა, შენ თვითონ გა-
აკეთე. — უთხრა მას უფროსმა ძმამ, შრომის
სკოლის მოწაფემ.

— როგორ, განა შეიძლება გაკეთება?
დაჩუმდა უცებ სალომე.

— მაშ არ შეიძლება? ხომ გახ-
სოვს, იმ დღეს რკო რომ მოვი-
ტანეთ ტყიდან. მოიტა აქ სუყვე-
ლა.

სალომე გაიტკა და მოიტანა.

და განა მართო ჩაის ჭურქელი
გაკეთეს?

ჯერ გააკეთეს სამოვარი: რკოს
ვიწრო თავში შეურქვეს ასანთის
სამი ნატეხი. ასანთისაგან გაუკე-
თეს ყურები და ონკანი. კამფორ-
კად რკოს ჯამი დაადგეს და ქინ-
ძისთავით გაამაგრეს ზედ. ჩაიდან-
საც ცხვირი ასანთისაგან, თავსა-
ხურავი რკოს ჯამისაგან დახელი
მავთულისაგან გაუკეთეს. ფინჯა-
ნისათვის კი რკო გადასქრეს და
ჯამში ჩადგეს.

— აჰა, შენი ჩაის ჭურქელი.

სალომემ ძალიან გახარებული
იყო.

— რკოსაგან ბევრი რამის გაკე-
თება შეიძლება, — სთქვა სოსომ
და მართლაც ბევრი რამე გააკე-
თა.

თქვენ თვითონ დაინახავთ ამ სუ-
რათზე სოკოებს, ღორს და კაც-
საც.

კაცის ტანი რკოა. ხელები და
ფეხები — კუნძიანი ჩხირები. კისერი
ასანთისაა, თავი პატარა რკოსაგან
უნდა გააკეთოთ და ზედ რკოს
ჯამი დაახუროთ. ფეხის გულე-
ბი შეიძლება საცობისაგან გა-
მოსქრათ. თვალები და პირი და-
უხატეთ, ცხვირად ასანთი გაუკე-
თეთ. წვერიც შეიძლება ხავსისა-
გან გაუკეთდეს, — უნდა მიაწებოთ.
ახლა სოკოებს შეხედეთ, რა ლა-
მაზია — ფიცარზე უნდა დააწებოთ.
ფიცარს წაუსვით წებო, და ჯერ
წვირილად დაჭრილი ხავსი მოაყა-
რეთ და შემდეგ სოკოები დააწე-
ბეთ. შეიძლება სხედასხვა ცხო-
ველის გაკეთებაც. აქ ღორია და-
ხატული, რომელსაც ყურები და
კუდი ბურბუშელასაგან აქვს გა-
კეთებული.

— აი, ხედავ, რამდენი რამე გა-
კრკეთე. — უთხრა სოსომ.

ამასრქით შენ თვითონ გააკეთე.

— უჰ, რამდენ რამეს გააკე-
თებ, — რკო ხომ ბევრი მაქვს შე-
გროვილი — სთქვა გახარებულმა
სალომემ და დაუწყო დალაგება
თავის სათამაშოებს.



— 1929 V. —

ბ ა მ რ ვ ა

საქმეწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლიან. „ოქტომბრული“ სადასურათო II V.

მოზრდილი. „პ ი მ ნ ე რ ი“ სადასურათო IV V.

ხალხოვნება მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით {

 „ოქტომბრული“ — ერთი წლით — 3 შ. 50 კ.

 ნახევარი წლით — 2 შ.

 „პ ი მ ნ ე რ ი“ — ერთი წლით — 5 შ.

 ნახევარი წლით — 3 შ.

ცალკე ნომერი {

 „ოქტომბრული“ — 36 კაპ.

 „პ ი მ ნ ე რ ი“ — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, ჩუხოველის გამზირი, № 22, საბეღამო (შეაჩვენეთ
 სახელი). „ოქტომბრული“ და „პ ი მ ნ ე რ ი“ რედაქციის.

რედაქტორი — ხარედაქციის კოლეჯია.

გამომცემელი — საბეღამო.

—